სტუ-ში ტრენერთა-ტრენინგი „ინოვაციები და სამეწარმეო პროგრამები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში" ჩატარდა

სტუ-ს სასწავლო პროგრამებში, მეწარმეობის კურსების და უნივერსიტეტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მიმდინარე წლის 19-21 ნოემბერს, ქართულ-ბრიტანული პროექტის - **„შემოქმედებითი ნაპერწკალი:** სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ ფარგლებში, სერტიფიცირებული ტრენერთა-ტრენინგი (ToT) **"ინოვაციები და სამეწარმეო პროგრამები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში"** ჩატარდა.

აღნიშნულ ტრენინგებს უძღვებოდნენ საერთაშორისო გამოცდილების მქონე **ბრიტანელი ექსპერტები კილის უნივერსიტეტიდან** (დიდი ბრიტანეთი) და ის სამი დღის მანძილზე ითვალისწინებდა სხვადასხვა თეორიულ და პრაქტიკულ ინტენსიურ აქტივობებს, მათ შორის, პრეზენტაციებს, ჯგუფურ და ინდივიდუალურ სამუშაოებს, ტრენინგ-თამაშებს და სხვა პრაქტიკულ სესიებს.

ტრენინგის ფარგლებში, ბრიტანელი კოლეგების მოდერაციით, საპროექტო დოკუმენტის სახით

მომზადდა **„მეწარმეობის“ სილაბუსის პროექტი** და სტუ-ს ინოვაციების ცენტრის ერთწლიანი **სამოქმედო გეგმა.** ტრენინგის მიმდინარეობისას, ასევე, ჩამოყალიბდა ე.წ. **„საკოორდინაციო ჯგუფი“,** რომელიც აქტიურად იქნება ჩართული სტუ-ს ინოვაციების ცენტრის სამომავლო საქმიანობაში და "შემოქმედებითი ნაპერწკალის" ეგიდით გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებს გაუწევს კოორდინაციას.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, პარტნიორი უნივერსიტეტის სტატუსით, კილის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით, მონაწილეობს ბრიტანეთის საბჭოს მიერ დაფინანსებული პროგრამის „შემოქმედებითი ნაპერწკალი: სამეწარმეო განათლების პროგრამა უმაღლესი სასწავლებლებისთვის“ მე-2 წლის პროექტში.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის ინსტიტუციურ კოორდინაციას ერთობლივად ანხორციელებენ სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახური და სტუ-ს კომერციალიზაციის დეპარტამენტი. ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის მთავარი პარტნიორია სტუ-ს სტუდენტური თვითმმართველობა და სოციალურ საკითხთა, სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი. პროექტს ორგანიზებას უკეთებს სტუ-ს ინოვაციების ცენტრი.